ჩინეთის რბილი ძალა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან მიმართებაში (ლაოსი და ინდონეზია)

ლოლიტა კოკაია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ოდოშაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ლოლიტა კოკაია 27.06. 2022

აბსტრაქტი

კვლევა შეისწავლის ჩინეთის რბილი ძალის ინსტრუმენტების გამოყენების საკითხს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც მოიცავს გაცვლით პროგრამებს, კონფუციის ინსტიტუტებს, ტურიზმის სექტორს, მედიაში ჩინური ნარატივებისა და კულტურული პროქტების გაშუქებას. გარდა ამისა, ნაშრომი იკვლევს რამდენად მნიშვნელოვანია მართველობის რეჟიმების მსგავსება დონორ და მიმღებ სახელმწიფოებს შორის რბილი ძალის ურთიერთობების განხორციელებისას.

ჩინური რბილი ძალის კვლევებში არსებობს ნარატივები, რომლებიც ხსნიან პეკინის სიძლიერეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. თუმცა მათი ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია რბილი ძალის რესურსების გაანალიზებაზე. მოცემული ნაშრომი აქცენტს აკეთებს მართველობის რეჟიმის მნიშვნელობაზე, რომელიც განაპირობებს მიმღები სახელმწიფოების ღიაობას ჩინური რბილი ძალის პოლიტიკისადმი.

კვლევის მიზანია დადგინოს ჩინური რბილი ძალის პოლიტიკის განხორციელების საკითხი. ჯოზეფ ნაის თეორიისა და თვისებრივი მეთოდების საშუალებით გაანალიზებულია ჩინეთის მიერ გამოყენებული რბილი ძალის ინსტრუმენტების ტენდენციები. გარდა ამისა, საუბარია მართველობის რეჟიმის მნიშვნელობაზე, რომელიც გავლენას ახდენს ჩინური რბილი ძალის განხორციელებაზე.

კვლევამ დადგინა, რომ ჩინეთის რბილი ძალის პოლიტიკა და მის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები არ განსხვავდება საკვლევ სახელმწიფოებში. გარდა ამისა, პეკინის რბილი ძალა პირდაპირ დამოკიდებულია მიმღები სახელმწიფოების პოლიტიკურ სისტემაზე. კვლევაში გამოყენებულია სამეცნიერო წრეებში გავრცელებული ნაშრომები და ასევე, სტატისტიკური მონაცემები.

საძიებო სიტყვები: რბილი ძალა, რბილი ძალის ინსტრუმენტები, კონფუცის ინსტიტური, გაცვლითი პროგრამები, კულტურული ღონისძიებები, ჩინეთი სამხრეთ-აღმოსაველთ აზიაში.

ABSTRACT

The Research examines the use of Chinese soft power tools in Southeast Asia, which includes broadcast programs, Confucian institutions, media coverage of Chinese narratives and cultural projects. In addition, the paper explores the importance of similarity of governance regimes in the exercise of soft power relations between donor and recipient states. Narratives in Chinese soft power explains Beijing's strength in Southeast Asia, which focuses on the analysis of soft power resources. This paper emphasizes the importance of a regime of governance that contributes to the openness of the host states to China's soft power policies. The aim of the research is to determine the implementation of Chinese soft power policy Based on Joseph Nye's theory, the trends in soft power tools used by China are analyzed through case studie and comparative case methods. In addition, the importance of the similarity of political systems influences the existence of positive attitudes towards the Chinese soft power. The study found that China's soft power policy tools are no different in the recepiant states. In addition, the degree of Beijing's soft power directly depends on the political system of the host states. Research uses academic studies and statistical databases.

Search Keywords: soft power, soft power tools, Confucius instutes, exchange programs, cultural events, china in south-east asia.